პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 281 (18823) ოთხშაბათი, 7 დეკემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ზესტაფონს მოწმენდილი ცა დაჰყურებს



ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქციის თითქმის 80 პროცენტი აღნიშნულია სახელმწიფო ხარისხის ნიშნით. მიმდინარე წლის ათ თვეში ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით გეგმები გადაჭარბებით შესრულდა. ახალი წარმატებას ხელი შეუწყო ქარხნის რეკონსტრუქციამ და ტექნიკურმა განახლებამ. აქ დადგმულმა მძლავრმა კვამლსაჭერმა ფილტრებმა, აირსაწმენდმა მოწყობილობამ სრულიად უხაფრთხოდ აქციეს გარემო როგორც წარმოების მუშაკთათვის, ასევე ქალაქის მცხოვრებლებისათვისაც.

სურათებზე: მდნობელთა მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. კობახიძე. № 4 საამქროში მიმდინარეობს დნობა.

ა. მაჰაკარიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეკონომიკური სწავლების ხარისხი

ამჟამად მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კონფერენციებზე კომუნისტების გამოსვლაში დიდი ყურადღება ეთმობა კადრების ეკონომიკური მომზადებისა და აღზრდის საკითხებს. და ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული წარმატებული მეურნეობრიობა და წარმოების მართვა, შრომის ეფექტიანობა, კულტურა და ხარისხი.

გაზრდილი შესაძლებლობანი და გაზრდილი საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი, აღნიშნა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში პარტიის ვეტერანებთან შეხვედრაზე, გვიკარნახებს „აუცილებლობას სერიოზულად ავამაღლოთ მთელი სამეურნეო მუშაობის დონე, არსებითად გავზარდოთ ეკონომიკის ეფექტიანობა, მთელი ჩვენი უზარმაზარი მეურნეობა გადავაქციოთ შეუფერხებლად მომუშავე, კარგად გამართულ მექანიზმად".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა საგანგებოდ ამოცანა აქტიურად ჩამოვაყალიბოთ მასებში ახალი ტიპის ეკონომიკური აზროვნება, რომლის მიზანია ინიციატივა და სოციალისტური გერგილიანობა, პასუხისმგებლობის ამაღლება და დისციპლინის განმტკიცება, საწარმოო საქმეებში უმცირესი დანახარჯებით საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევა. ამ ამოცანის გადაწყვეტის განუყოფელი ნაწილია ეკონომიკური სწავლების ხარისხისა და შედეგიანობის ამაღლება, ცხოვრებასთან მისი კავშირის განმტკიცება.

ნუ დავივიწყებთ: სწავლება თვითმიზანი არ არის. მან უნდა აღზარდოს ადამიანები, დაეხმაროს აქტიურად, საქმის ცოდნით აღჭურვნენ თავიანთ კოლექტივში, თავიანთ სამუშაო ადგილას საუკეთესო სამეურნეო შედეგებს, იყვნენ ქვეყნის მოაზროვნენ, ესწრაფვოდნენ ახალს, მოწინავეს. სწორედ ამ პოზიციებიდან უდგებიან ეკონომიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობას მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის, ლენინგრადის, უკრაინის, საქართველოს მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ბევრ პრტიულ ორგანიზაციაში. მაგალითად, ბელორუსიის ზოგიერთ სამინისტროში მიტად ეფექტიანია მუდმივმოქმედი კონკურსები მსმენელთა მიერ მომჭირნეობის პირადი ანგარიშების შემუშავებისა და რეალიზაციისათვის. მარტო რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში ამას მოკლე დროში მოაყვა 2 მილიონ 800 ათასი მანეთი ეკონომიკური ეფექტი.

ცხოვრებამ წინა პლანზე წამოსწია პრობლემები, რომლებიც საკვანძო პრობლემები უნდა გახდეს მშრომელთა ეკონომიკურ განათლებაში. ეს არის სახალხო მეურნეობაში მატერიალური რესურსების დაზოგვის უზრუნველყოფა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სასურსათო პროგრამის რეალიზაცია, საწარმოებსა და დარგებში მართვის დონის ამაღლება. თანამედროვე პირობებში, აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს ამასწინანდელ დადგენილებებში, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, წარმოების მართვაში მშრომელთა ფართო ჩაბმისა და აღზრდის ერთ-ერთი მიმართულებაა. ბრიგადები სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ წარმოების შემდგომ ინტენსიფიკაციაში, ხდებიან შრომითი კოლექტივების ძირითადი საწარმოო და სოციალური უჯრედი. და ბოლოს ეს ყველა კატეგორიის მსმენელისათვის, ყველა ფორმის სწავლებისათვის შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების, ორგანიზებულობისა და დაკისრებული საქმისათვის მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლების აქტუალური პრობლემაა.

თითოეულ ამ თემაზე შემუშავებული და შემოღებულია სპეციალური კურსები, ქვეყნდება შესაბამისი მასალები. ამასთან ძალზე საჭიროა, რომ პროპაგანდისტები არ შემოიფარგლონ მათი შინაარსის გადმოცემით და მსმენელები ჩაბან თავიანთ კოლექტივებში საქმის ვითარების, წარძღოლების კონკრეტული სიტუაციების ცოცხალ, უშუალო ანალიზში, ამა თუ იმ ხარვეზის, დარღვევის მიზეზების გამოვლინების პროცესში.

ამასთან დაკავშირებით სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მუშაობა პროპაგანდისტულ კადრებთან: მათი ინფორმირებულობის, თვალსაწიერის გაფართოება, თეორიული და მეთოდიური მომზადების გაღრმავება, მეცადინეობის ხელშემწყობი პირობების უზრუნველყოფა. ყოველივე ეს მუდამ ყურადღების ცენტრში უნდა იქონონ სამინისტროებმა და უწყებებმა, დარგობრივმა საბჭოებმა და ეკონომიკური განათლების სასწავლო-მეთოდიკურმა ცენტრებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და სამეურნეო ორგანოებმა. ეკონომიკური ცოდნის პროპაგანდისტთა მომზადების საქმეში უფრო აქტიური წვლილი უნდა შეჰქონდეთ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებს, პოლიტიკური განათლების სახლებსა და კაბინეტებს, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს. ეკონომიკური განათლების სისტემის სასწავლო-მეთოდიკური უზრუნველყოფისათვის ბევრი რამ უნდა გააკეთონ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებმა.

და, რა თქმა უნდა, საქმის წარმატებაში განსაზღვრელ როლს ასრულებს მეცადინეობის ხელმძღვანელის პიროვნება, მისი შემოქმედებითი საწყისი, კეთილსინდისიერება, მისი მოქალაქეობრივი პოზიცია შრომასა და ცხოვრებაში. პროპაგანდისტებისა და მსმენელების ერთობლივი ძალისხმევა, მუშაობაში სულით და გულით მონაწილეობა, აზრის, პრაქტიკული დავალების აქტუალურობა, სიახლე და კონკრეტულობა — აი პროდუქტიული ეკონომიკური სწავლების საწინდარი.

მეცადინეობა აუცილებლად უნდა განვამტკიცოთ შესაბამისი სასწავლო-მატერიალური ბაზით, გავითვალისწინოთ ეკონომიკური მომზადების დონე სპეციალისტების დაწინაურებისას, მუშებისა და კოლმეურნეებისათვის საკვალიფიკაციო თანრიგების მინიჭებისას. ამასთან, როგორც ადგილებიდან მიღებული სიგნალები მოწმობს, ეს ჯერ კიდევ ყველგან როდი ხდება. იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა მეცადინეობა წარმოებს ფორმალურად, თვითდინებაზეა მიშვებული, ხოლო ეკონომიკური განათლების საბჭოები ან უმოქმედოდ არიან, ან თავიანთ მუშაობას ქაღალდმთხზველობით ამოწურავენ. და აქ მთელი ძალით დგება კონტროლის საკითხები. ეკონომიკური პროპაგანდის ყველა ფორმას ქმედითობა სხვა საჭირბოროტო პრობლემებთან ერთად უნდა იყოს პარტიული კომიტეტების ღრმა და მომთხოვნელი ანალიზის ობიექტი. სწორად იქცევიან ის ახლად არჩეული პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები, რომლებიც თავიანთ უმნიშვნელოვანეს საზრუნავად მიიჩნევენ მეცადინეობის მიმდინარეობისა და ქმედითობისადმი კონტროლის გაძლიერებას, პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ყოველმხრივ სრულყოფას.

ეკონომიკური განათლების მაღალი აზრი მარტო ის კი არ არის, რომ ადამიანებს მივცეთ გარკვეული ცოდნა, ვასწავლოთ უკეთ, უფრო ნაყოფიერად მუშაობა. თუმცა ამასაც, რა თქმა უნდა, უპირველესი მნიშვნელობა აქვს. მას აკისრია უაღრესად პასუხსაგები აღმზრდელობითი ფუნქციები. მათი მთავარი მიზანია ჩაუნერგონ მსმენელებს საქმისადმი ინიციატივიანი, შემოქმედებითი დამოკიდებულება, აღზარდონ პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის ნამდვილი მებრძოლები.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სახალხო მეურნეობაში ავტომატარანსპორტო საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისას წამატებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საწვავ-საპოხი მასალების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის შესახებ"

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში საავტომობილო ტრანსპორტი ფართოდ განვითარდა და გადაიქცა ქვეყნის ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლად. მნიშვნელოვნად განმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პარკი სისტემატურად ივსება თანამედროვე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, მაღლდება ავტომობილების ტექნიკური დონე, მათი მუშაობის თვისებრივი და საექსპლოატაციო მაჩვენებლები.

ამასთანავე სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაგი შემადგენლობის გამოყენებაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ ვერ პოვა ჯეროვანი განვითარება ტვირთის ეკონომიკურად ხელსაყრელმა ცენტრალიზებულმა გადაზიდვამ, არ არის უზრუნველყოფილი საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის უპირატესი განვითარება და მოძრავი შემადგენლობის კონცენტრაცია მსხვილ ავტომეურნეობებში. კვლავინდებურად დიდია ავტომობილების ფუჭი გარბენი და ზენორმატიული მოცდენა დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს, ურიგდებიან ავტოსატრანსპორტო საშუალებათა არარაციონალური ექსპლოატაციის მრავალ შემთხვევას, მათს გამოყენებას არადანიშნულებისამებრ და თვით ანგარებითი მიზნებისათვის.

სატვირთო ავტომობილების პარკის სტრუქტურა მნიშვნელოვანწილად არ შეესაბამება გადაზიდვის პირობებს. სახალხო მეურნეობას აკლია მცირე და დიდი ტვირთამწეობის ავტომობილები, სხვადასხვა დანიშნულების სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებები, მისაბმელები და ნახევრად მისაბმელები. ნელა ხორციელდება ავტოპარკის ავტომობილების გადაყვანა დიზელის სათბობზე და შეკუმშული ბუნებრივი გაზით მუშაობაზე.

ავტომობილების მნიშვნელოვან ნაწილს უწესივრო და დაუპლომბავი სპიდომეტრები აქვს. ამავე დროს საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო და ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტრო არ უთმობენ ჯეროვან ყურადღებას ავტომობილების მუშაობისა და სათბობის ხარჯვისადმი კონტროლის უფრო საიმედო და ეფექტიანი ხელსაწყოების შექმნას.

არ ხორციელდება ჯეროვანი ღონისძიებანი, რათა ამაღლდეს საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის დაგეგმვისა და აღრიცხვის ორგანიზაციის ხარისხი, უზრუნველყოფილ იქნეს საწვავ-საპოხი მასალების რაციონალური, ეკონომიური ხარჯვა. კვლავინდებურად ვერ არის დამაკმაყოფილებელი საავტომობილო სათბობის ხარჯვის ნორმირება. არცთუ იშვიათია გადაზიდვის შეუსრულებელი მოცულობის წამატების, დანაკარგებისა და საწვავ-საპოხი მასალების დატაცების შემთხვევები. ბევრ ავტოგასაწყობ სადგურში ირღვევა საავტომობილო बენზინის გაცემის წესი.

საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობასა და ნავთობპროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, უწინარეს ყოვლისა, იმის ბრალია, რომ შესუსტდა დისციპლინა და მომთხოვნელობა, არ არის საკმარისი სამინისტროების, უწყებების, ადგილობრივი ჰარტიული და საბჭოთა ორგანოების კონტროლი ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებისადმი.

იმის გამო, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საავტომობილო ტრანსპორტზე სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, და იგი სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს სახალხო მეურნეობაში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, საწვავ-საპოხი მასალების დაცვა-შენახვისა და მომჭირნე ხარჯვის უზრუნველყოფა უნდა გახდეს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, ყველა სამინისტროსა და უწყების უპირველესი საზრუნავი.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

მხარი უსწორეთ მოწინავეებს

სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1983 წლის 9 თვის შედეგები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავის აღსანიშნავად, პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი. 1983 წლის 15 ოქტომბერს ამ ღირსშესანიშნავ საიუბილეო თარიღებს უძღვნეს რესპუბლიკური კომუნისტური შაბათობა, რომელმაც მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა.

1983 წლის 9 თვეში საქართველოს სსრ მრეწველობამ აწარმოვა 7 მილიარდ 543 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, მისი გამოშვების გეგმა 102,4 პროცენტით შესრულდა. გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 178,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. რესპუბლიკის მრეწველობის ხაზით შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულებულია 102,7 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების 78,6 პროცენტი.

უაღრესად არახელსაყრელი ამინდის პირობების მიუხედავად, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა უზრუნველყვეს ძირითადი საგეგმო მაჩვენებლების შესრულება. მოკრეფილია 534 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმის 107 პროცენტს შეადგენს.

წლიური გეგმით გათვალისწინებულია მოიკრიფოს 540 ათასი ტონა ხილი, უკვე კი მოკრეფილია 247,8 ათასი ტონა, რაც 24,5 ათასი ტონით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. გადაჭარბებით შესრულდა პიროტაყვისა და ფრინველის სახელმწიფო შესყიდვის დავალებანი — 105,3 პროცენტი, რძისა — 102, კვერცხისა — 102,9, მატყლისა — 121,4 პროცენტი.

რესპუბლიკის მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს 1983 წლის 9 თვის საგეგმო დავალებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1983 წლის 9 თვის შედეგების მიხედვით გამარჯვებულად ცნეს:

სამინისტროებსა და უწყებებს შორის

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
საქართველოს სსრ ქვების მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	საქართველოს სსრ ქვების მრეწველობის სამინისტრო
საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო
საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო
საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი — საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი	საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი
საქმთავარენერგო — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო	საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო
საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო — საქართველოს სსრ ხალხმასნეულის მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო
საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო
საქმიდროენერგომშენი — საქმთავარწყალმშენი	საქმიდროენერგომშენი
საქმთავარმონტაჟსპეცმშენი — კავკასიის ელექტროქსელმშენი	საქმთავარმონტაჟსპეცმშენი
საქართველოს სსრ სახმომარაგება — საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი	საქართველოს სსრ სახმომარაგება
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო	საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო
საქართველოს საზღვაო სანაოსნო — ამიერკავკასიის რკინიგზა	ამიერკავკასიის რკინიგზა
საქართველოს სსრ საბინაო და კომუნალური მეურნეობის სამინისტრო — საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	საქართველოს სსრ საბინაო და კომუნალური მეურნეობის სამინისტრო
საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი — საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი არ გამოვლენილან იმის გამო, რომ ვერ შეასრულეს საგეგმო დავალებანი ძირითადი მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ნაწილის მიხედვით.

აღინიშნა, რომ კარგად იმუშავეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს საზღვაო სანაოსნომ, რომლებმაც მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს ეკონომიკური და სოციალისტური განვითარების ცალკეული ძირითადი მაჩვენებლების შესრულებაში.

ასს რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქს შორის

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
აფხაზეთის ასსრ — აჭარის ასსრ	აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ
აფხაზეთის ასსრ — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

ქალაქებს შორის:

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:	ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
ბათუმი — სოხუმი	სოხუმი	ქუთაისი — რუსთავი	ქუთაისი
ფოთი — გორი	ფოთი	ჭიათურა — ტყიბული	ჭიათურა
ზუგდიდი — ცხინვალი	ზუგდიდი, ცხინვალი	ტყვარჩელი — ტყიბული	ტყვარჩელი

(დასასრული მე-2 გვ.).

მეოთხე წლის ანგარიშში

ტყიბული. (საკ. კორ.). გამართულად, რიტმულად მუშაობს რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანი — ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი. მოწინავე საწარმომ 20 ნოემბერს უპატაკა ქვეყანას მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი სამი წლის ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო დავალების შესრულება.

ლენინელები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას ფლობენ.

წარმატებებმი დიდი წვლილი შეიტანეს ნოვატორმა მეშახტეებმა გ. ციცქიშვილმა, გ. გიორგაძემ, ბ. ხოლოშენკომ, გ. გოცაძემ, ს. ბირკაიამ, რ. ბოჟორიშვილმა და სხვებმა. ყველა ისინი უკვე დიდი ხანია ხუთწლედის მეოთხე წლის მეორე ნახევრის ანგარიშში შრომობენ.

გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს ბაბრაკ ქარმალს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სულთან ალი ქეშთმანდს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მთელ მეგობარ ავღანელ ხალხს ულოცავენ ღირსსახსოვარ თარიღს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მეზუთე წლის თავს, რომელიც 1978 წლის 5 დეკემბერს დაიდო.

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ბაბრაკ ქარმალმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სულთან ალი ქეშთმანდმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ვ. ანდროპოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ტიხონოვს გამოუგზავნეს დეპეშა ავღანეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ისტორიის ღირსსახსოვარი თარიღის — ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის 1978 წლის 5 დეკემბრის ხელშეკრულების დადების ხუთი წლისთავის გამო. (საკადესი).

წლის დამლევამდე რამდენიმე დღეღა დარჩა. მალე შეჯამდება, როგორი მიღწევებით ვამთავრებთ მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წელს. ახლა ძველი და ახალი წლების მიჯნაზე ჩვეულებრივ ყველა საწარმოს კოლექტივი ცდილობს გეგმა-ვალდებულებანი დროულად და პირნათლად შეასრულოს. ამ მხრივ გამონაკლისი არც ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი არის. ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება ბევრად არის დამოკიდებული რკინიგზის გამართულ მუშაობაზე. რკინიგზის სრულყოფილი მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა კი ვაგონების ნორმალური ბრუნვაა. მათი ბრუნვა კი ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სიჩქარით, დროულად თუ დაგვიანებით დავცლით ან დავტვირთავთ ვაგონებს.

ვაგონების სწრაფი დაცლა უზრუნველყოფს ნედლეულით და მასალებით სხვადასხვა საწარმოდაწესებულების დროულ მომარაგებას. აქ ყურადღების ოდნავი მოდუნებაც კი შეუწყნარებელია, რადგან მილიონობით მანეთის ზარალს გამოიწვევს. ამიტომაც აუცილებელია თითოეული უწყება-სამინისტროს ხელმძღვანელებმა

ვაგონები ცდება, ვინ არის დამნაშავე?!

„კომუნისტის" საგუშაგო

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რკინიგზის ვაგონების დროულ დაცლას.

მაგრამ აი გვხვდება ასეთი ფაქტიც. 22 ნოემბერს დღე-ღამეში, ტვირთის მიმღებთა მიზეზით, დაუცლელი იყო 528 ვაგონი, 23 ნოემბერს — 447, ხოლო 24 ნოემბერს — 412 ვაგონი. ტვირთი კი ეკუთვნოდა რესპუბლიკის დამზადების სამინისტროს, სასოფლო სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, ვაჭრობის და ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, „საქჰიდროენერგომშენს", საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ჩაის", რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას. აღნიშნულ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებმა დროულად უნდა მიიღონ სათანადო ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად, რათა წლის დამლევამდე დანიშნულებისამებრ დაიცალოს ვაგონები.

გუშინ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში გაიმართა თათბირი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. ე. ხაბეიშვილმა. მან აღნიშნა იმ მძიმე მდგომარეობის შესახებ, რომელიც რესპუბლიკაში განუტვირთელი ვაგონების გამო შეიქმნა. ცალკეული სამინისტროები და უწყებები არაერთხელ იქნენ გაფრთხილებულნი ვაგონების მოცდენებისადმი უსულგულო დამოკიდებულების გამო, მაგრამ მდგომარეობა ჯერჯერობით კვლავ სავალალოა. უნდა ითქვას, რომ ამაში გარკვეული ბრალი ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის, სოხუმის, სამტრედიის, ცხინვალის განყოფილებებსაც მიუძღვით. მათ სათანადო მუშაობა ვერ გასწიეს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელებმა, ამიერკავკასიის რკინიგზის სპეციალურმა სამსახურებმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიტანონ სათანადო დასკვნები და ყველაფერი იღონონ შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, წლის დამლევამდე ცოტა დრო დარჩა. რესპუბლიკა უნდა ავაცილოთ მილიონობით მანეთის ზარალს, ყველაფერი უნდა გაკეთდეს ვაგონების დროულად გადმოტვირთვისათვის, რკინიგზის შეუფერხებელი მუშაობისათვის.

გაზეთი „კომუნისტი" სისტემატურად გამოაქვეყნებს რკინიგზაზე მდგომარეობის ამსახველ მასალებს. საგუშაგო იფხიზლებს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ უზრუნველყონ სატვირთო-საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ორგანიზაციის, დაგეგმვისა და აღრიცხვის ძირეული გაუმჯობესება, ავტომობილების ზენორმატიული მოცდენის ლიკვიდაცია და ფუჭი გარბენის შემცირება, მათი ექსპლოატაციის ეფექტიანობისადმი კონტროლის გაძლიერება, ტვირთის გადაზიდვის დროს წამატებათა აღმოფხვრა, აგრეთვე ბენზინისა და სხვა საწვავ-საპოხი მასალების დანაკარგებისა და დატაცების აღკვეთა, დისციპლინის გაბატკიცება ავტოსატრანსპორტო და ნავთობგამსაღებელ საწარმოებში, ტვირთის გამგზავნ და ტვირთის მიმღებ საწარმოებში.

ავტოსატრანსპორტო და ნავთობგამსაღებელი საწარმოების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოწოდებული არიან დაეყრდნონ შრომითი კოლექტივების აღმზრდელობითს ძალას და გააჩაღონ მტკიცე ბრძოლა შრომისა და საწარმოო დისციპლინის ყოველგვარი დარღვევის აღსაკვეთად, დაკისრებული მოვალეობებისადმი უნიათო დამოკიდებულების, უყაირათობისა და მფლანგველობის ფაქტების აღმოსაფხვრელად.

პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ აამაღლონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე ავტოსატრანსპორტო და ნავთობგამსაღებელ საწარმოთა მუშაკებს შორის, უფრო სრულად გამოიყენონ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება, აამაღლონ თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა საწარმოო დავალებათა შესრულების, ტექნიკის გაფრთხილების, საავტომობილო სათბობის მომჭირნე ხარჯვისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაამტკიცოს წლიურ გეგმებში საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთზიდვის მოცულობა, აგრეთვე საავტომობილო სათბობის ფონდები და მისი სატრანსპორტო მუშაობის ხარჯის ნორმები სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიხედვით. გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ მათ დაუმტკიცებენ ცენტრალიზებული ტვირთზიდვის გეგმებს.

საერთო სარგებლობის ავტომტრანსპორტის უპირატესი განვითარების უზრუნველყოფის ამოცანის შესაბამისად, საჭიროდ არის მიჩნეული გაიზარდოს მისი ხვედრითი წილი ქვეყნის საავტომობილო ტრანსპორტის საერთო ტვირთბრუნვაში.

საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის დროს შრომითი და მატერიალური რესურსების გამოყენების გაუჯობესებისა და სატრანსპორტო პროცესის სრულყოფის მიზნით მიღებულ დადგენილებაში სსრ კავშირის სატვირთო ავტომობილების მქონე უწყება-სამინისტროებისათვის და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის დამტკიცებულია ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირების 1984-1990 წლების დავალებანი, რაც უნდა განხორციელდეს ავტომობილების მოცდენისა და ფუჭი გარბენის შემცირების, მათი მუშაობის მწარმოებლობის გადიდებისა და საწვავ-საპოხი მასალების მომჭირნე ხარჯვის გზით.

სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებმა, მოკავშირე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა, მოსკოვის და ლენინგრადის საქალაქო აღმასკომებმა უმოკლეს ვადაში უნდა განახორციელონ წვრილი ავტოსატრანსპორტო საწარმოების გამსხვილება, განახილონ საუწყებო ავტომეურნეობებში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობის საკითხი. საჭიროების შემთხვევაში მიღონ გადაწყვეტილებანი არარენტაბელურ ავტომეურნეობათა ლიკვიდაციის შესახებ მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, აგრეთვე გადაწყვეტილებანი, რომ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს გადაეცეთ ტვირთზიდვის მოცულობა, სატვირთო ავტომობილები, საწარმო ბაზა, არსებული რაოდენობის მუშაკები და ხელფასის ფონდი, ამასთან დაიკისროთ იმ საწარმოო-ორგანიზაციათა მომსახურების მოვალეობა, რომლებმაც სატვირთო ავტომობილები გადასცეს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ:

დაამტკიცონ იმ საავტომობილო გზების ნუსხა, რომლებზეც საქალაქთაშორისო ტვირთზიდვას, როგორც წესი, საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი ასრულებს, და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავს 1990 წლისათვის საუწყებო საავტომობილო ტრანსპორტის მონაწილეობას ამ გზებზე განლაგებულ პუნქტებს შორის ტვირთის გადაზიდვაში;

ორგანიზაცია გაუწონონ, 1984 წლიდან მოყოლებული, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მომსახურებასა სატვირთო ტაქსომოტორების პრინციპით მომუშავე ავტომობილების მიერ ტვირთის მცირე პარტიების გადაზიდვის ერთჯერადი განაცხადებით;

განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ამაღლდეს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის სადისპეტჩერო სამსახურის როლი ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ეფექტიანი გამოყენებისადმი კონტროლის გაწევის საქმეში, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, და ამ სამსახურის კვალიფიციური მუშაკებით დაკომპლექტებისათვის.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახბანკს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსა და რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დაევალათ გადასინჯონ საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისათვის ანგარიშსწორების წესის ინსტრუქცია და სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების ფორმები, ამასთან გაითვალისწინონ, რომ საჭიროა მათი გამარტივება და ამ დოკუმენტების მექანიზებული დამუშავების პირობების შექმნა.

სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ კონტროლის გაძლიერება ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მუშაობის, საწვავ-საპოხი მასალების რაციონალური ხარჯვის, აგრეთვე სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების სწორი გაფორმებისა და ტვირთზიდვის შესრულებული მოცულობის შეჯერების დადგენილი წესით მოწყობისადმი.

დადგენილია, რომ სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების არასწორი გაფორმებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვება ტვირთზიდვის სამუშაოთა შეუსრულებელი მოცულობის წამატება და ტვირთზიდვის შესრულებულ მოცულობათა შეჯერების დადგენილი წესის დარღვევა, მუშაკებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ასეთი ფუნქციების განხორციელება, და ამ სამუშაოს ორგანიზაციისათვის პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს ერთ წლამდე ვადით ერთმევათ უფლება მიიღონ რამე პრემია და გასამჯელო წლის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით.

მუშაკები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ტვირთზიდვის სამუშაოთა შეუსრულებელი მოცულობის წამატების შედეგად საწარმოებისათვის ზარალის მიყენებაში, ანაზღაურებენ ამ ზარალს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მუშაკთა მატერიალური დაინტერესება ტვირთის გაგზავნა-მიღებისათვის დროული მომზადების, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა დაჩქარების, აგრეთვე საწვავ-საპოხი მასალების მომჭირნე ხარჯვის უზრუნველსაყოფად, საჭიროდ არის მიჩნეული:

შემოღებულ იქნეს ტვირთის მიღება-გაგზავნაზე დასაქმებულ მუშაკთა მატერიალური წახალისება დაწესებულ ნორმებთან შედარებით ავტომობილის მოცდენის შემცირებისათვის;

გაიზარდოს ბენზინისა და დიზელის სათბობის დაზოგვის გამო საავტომობილო ტრანსპორტი ი ს მუშაკებისათვის გასაცემი გასამრჯელოს ოდენობა მათი ღირებულების 95 პროცენტამდე;

დაწესდეს, რომ საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა მიზნით სათბობის ზენორმატიული გადახარჯვისათვის ამ მუშაკებს გადახდებათ გადახარჯული საავტომობილო სათბობის ღირებულების 100 პროცენტი.

სამინისტროებს, უწყებებს, გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო განვითარდეს და დაიხვეწოს სატვირთო ავტომობილების მძღოლთა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმა და გადაყვანილ იქნენ ბრიგადები სამეურნეო ანგარიშის პირობებში ბრიგადული იჯარის მეთოდით მუშაობაზე. ამასთან ბრიგადაში მძღოლთა შრომის ანაზღაურების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს პირადი და კოლექტიური მატერიალური დაინტერესების შეხამების მთელი კოლექტივის შრომის საბოლოო შედეგების მიღწევაში, მისი ნაყოფიერებისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაში.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული მოეწყოს ცალკეულ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში სატვირთო ავტომობილების მძღოლთა შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფის ექსპერიმენტი, რათა ამაღლდეს მათი დაინტერესება მოსწრაგი შემადგენლობის ეფექტიანი გამოყენების, აგრეთვე ტვირთის დაცვა-შენახვით და დროული მიტანით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, აგრეთვე სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებს უფლება მიეცათ განახორციელონ ღონისძიებანი სატვირთო ავტომობილების მძღოლთა გადასაყვანად შრომის ანაზღაურების დროებრივ-პრემიულ სისტემაზე და გაუდიდონ მათ პრემიების ოდენობა, რომლებიც ეძლევათ ხელფასის ფონდის ხარჯზე, მათი სატარიფო განაკვეთის 60 პროცენტამდე.

უწყება-სამინისტროებს დაევალათ დაამყარონ ჯეროვანი წესრიგი სპიდომეტრული მეურნეობის მოვლა-შენახვასა და ექსპლოატაციაში, უზრუნველყონ ყოველ ავტომეურნეობაში სისტემატური კონტროლი მისი გამართულობისა და ჩვენებათა სისწორისადმი ზუსტად დამტკიცებული ფულებების შესაბამისად.

დადგენილია, რომ სპიდომეტრის მწყობრიდან გამოსვლის და უწესივრო ან დაუპლომბავი სპიდომეტრით ავტომობილს ხაზზე გაშვების ყოველი შემთხვევა უნდა გამოიძიოს ავტოსატრანსპორტო საწარმოს ადმინისტრაციამ პროფკავშირის კომიტეტის მონაწილეობით, ხოლო ის პირნი, ვისაც ბრალი მიუძღვის ამ დარღვევებში, დადგენილი წესით უნდა მიეცენ მკაცრ პასუხისგებაში.

დადგენილებით საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის სატვირთო საავტომობილო პარკის რაციონალური სტრუქტურის ფორმირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა წარმოების განვითარება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს დიზელიანი ავტომატარებლების, მცირე ტონაჟის სატვირთო ავტომობილების, მისაბმელებისა და ნახევარმისაბმელების წარმოების გაფართოებას.

სსრ კავშირის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტსა და „ცენტროსოიუზს“ დაევალათ გაფართოონ ავტოგასაწყობი სადგურების ქსელი, მათ შორის სოფლად, რათა ნაღდ ფულად მიეცეთ საწვავ-საპოხი მასალები სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელ მოქალაქეებს. 1984 წლიდან მოყოლებული, დაინერგოს მთელი რიგი ქალაქების ავტოგასაწყობ სადგურებში საკრედიტო ბარათებით. ნავთობპროდუქტების გაცემის ავტომატიზებული სისტემა.

სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ ააშენონ სტაციონარული ავტოგასაწყობი პუნქტები და სპეციალური მოედნები გარაჟების ტერიტორიაზე მოძრავი ავტოგასაწყობი სადგურების განლაგების მიზნით.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტსა და მის ადგილობრივ ორგანოებს წინადადება მიეცათ გაძლიერონ კონტროლი იმისადმი, თუ რა საქმიანობას ეწევიან სამინისტროები და უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საავტომობილო ტრანსპორტისა და საწვავ-საპოხი მასალების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად. მკაცრ პასუხისგებაში მისცენ პირნი, რომლებიც ურგდებინან ტვირთზიდვის მოცულობის წამატებებს, საავტომობილო ტრანსპორტის განივავასა და დატაცებას.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაევალათ გაძლიერონ კონტროლი იმისადმი, თუ რამდენად უტყუარია საავტომობილის ტარანსპორტით ტვირთზიდვის შესრულებული მოცულობის მონაცემები, საწვავ-ს ა პ ო ხ ი მასალების ხარჯვა, როგორ იცავენ ტვირთის გამგზავნი და ტვირთის მიმღები საწარმოები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით ჩამოწერისა და შემოსავალში გატარების დადგენილ წესს, აგრეთვე გააძლიერონ კონტროლი ტვირთზიდვის შესრულებული მოცულობის მონაცემების შეჯერებისადმი.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ განახორციელონ მუდმივი კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი, გააძლიერონ ყურადღება საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების საკითხთა მიმართ, გადაჭრით აღკვეთონ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა არარაციონალური, არაეფექტიანი გამოყენების, საწვავ-საპოხი მასალების ხარჯვისადმი უყაირათო დამოკიდებულების ფაქტები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ავტოსატრანსპორტო და ნავთობგამსაღებელი, ტვირთის გამგზავნი და ტვირთის მიმღები საწარმოების პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა აამაღლონ საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობა და შეამცირონ სატრანსპორტო ხარჯები სახალხო მეურნეობაში, უზრუნველყონ საწვავ-საპოხი მასალების დაცვა-შენახვა და მომჭირნე ხარჯვა.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲔᲑᲘ

• • •

გაიმართა ასპინძის რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველ პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲘᲡ რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **გ. ი. ᲞᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** მეორე მდივნად — **მ. პ. ᲬᲘᲜᲬᲙᲚᲐᲕᲘ,** მდივნად — **შ. გ. ᲖᲣᲠᲐᲑᲨᲕᲘᲚᲘ.**

• • •

გაიმართა ონის რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ქ. ი. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ,** მეორე მდივნად **ზ. პ. ᲙᲐᲪᲘᲩᲐᲫᲔ,** მდივნად — **ი. ლ. ᲙᲔᲠᲗᲘᲡᲚᲔᲘᲫᲔ.**

• • •

გაიმართა თეთრი წყაროს რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ჯ. დ. ᲑᲔᲓᲣᲙᲐᲫᲔ,** მეორე მდივნად — **ო. თ. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ,** მდივნად — **ც. ი. ᲑᲐᲘᲓᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

• • •

გაიმართა ხელვაჩაურის რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ნ. მ. ᲒᲝᲒᲘᲫᲔ,** მეორე მდივნად — **თ. ხ. ᲛᲔᲫᲔᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ,** მდივნად — **ჩ. ნ. ᲝᲛᲘᲠᲐᲫᲔ.**

• • •

გაიმართა ცხინვალის რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველ პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ცხინვალის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **ფ. ვ. ᲯᲝᲛᲝᲔᲕᲘ,** მეორე მდივნად — **გ. ვ. ᲪᲘᲠᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** მდივნად — **მ. ა. ᲝᲡᲢᲐᲞᲝᲕᲘ.**

• • •

გაიმართა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიული ორგანიზაციის კონფერენცია.

ახლად არჩეული პარტიული კომიტეტის პირველ პლენუმზე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტკომის მდივნად არჩეულია **ე. შ. ᲪᲐᲥᲚᲐᲫᲔ,** მდივნის მოადგილეებად — **ი. ვ. ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ, ვ. ტ. ᲑᲝᲪᲕᲜᲘᲫᲔ.** (საქინფორმი).

ᲐᲮᲐᲠᲘᲡ საუკეთესო მეურნეობათა შორის ასახელებენ ხელვაჩაურის რაიონს სალიბაურის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობას. გეგმით გათვალისწინებული 550 ტონის ნაცვლად აქ უკვე მოკრიფეს თითქმის 600 ტონა ციტრუსი.

შრომითი მეტოქეობის მოწინავეთა შორისაა მეციტრუსე მაყვალა ავალიანი, მან ათი ტონა მანდარინი (დავალებაზე ორჯერ მეტი) მოკრიფა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲘᲗ: მაყვალა ავალიანი მანდარინის კრეფის დროს; სალიბაურის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მიმღები პუნქტი.

ნ. ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲔᲕᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲮᲐᲠᲘ ᲕᲣᲡᲬᲝᲠᲝᲗ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲑᲡ

(დასასრული)

ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ:

ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲐᲜ:	ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲜᲘ:	ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲐᲜ:	ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲜᲘ:
გეგეჭკორის — ოჩამჩირის	გეგეჭკორის	ლენტეხის — ჩხოროწყუს	ლენტეხის
ჯავის — ონის	ონის	გურჯაანის — მარნეულის	გურჯაანის
ასპინძის — შუახევის	შუახევის	გორის — ახალქალაქის	ახალქალაქის
მესტიის — ორჯონიკიძის	ორჯონიკიძის	თელავის — ზესტაფონის	ზესტაფონის
სამტრედიის — ხაშურის	სამტრედიის	ახალციხის — ქობულეთის	ქობულეთის
თეთრი წყაროს — კასპის	თეთრი წყაროს	ხობის — სიღნაღის	ხობის
დმანისის — დუშეთის	დმანისის	სოხუმის — ხელვაჩაურის	სოხუმის
ბორჯომის — ქ. წყალტუბოს ზონა	ქ. წყალტუბოს ზონა	ცაგერის — მაიაკოვსკის	ცაგერის, მაიაკოვსკის
ბოგდანოვკის — საგარეჯოს	ბოგდანოვკის, საგარეჯოს	წალენჯიხის — ლაგოდეხის	წალენჯიხის, ლაგოდეხის
გალის — აბაშის	აბაშის	ყვარლის — ახმეტის	ყვარლის
გუდაუთის — ცხაკაიას	გუდაუთის	ადიგენის — ხულოს	ხულოს
ზუგდიდის — მახარაძის	მახარაძის	ცხინვალის — წულუკიძის	წულუკიძის
ყაზბეგის — ლენინგორის	ლენინგორის	გულრიფშის — ქედის	გულრიფშის, ქედის
გარდაბნის — წითელწყაროს	გარდაბნის, წითელწყაროს	ქობულეთის — ქ. გაგრის ზონა	ქ. გაგრის ზონა
თიანეთის — წალკის	თიანეთის	თერჯოლის — საჩხერის	თერჯოლის
ჩოხატაურის — ლანჩხუთის	ჩოხატაურის	ვანის — წულუკიძის	ვანის, წულუკიძის

ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲐᲜ:	ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲜᲘ:
ქ. თბილისის ლენინის რაიონი — ქ. ქუთაისის ლენინის რაიონი	ქ. თბილისის ლენინის რაიონი
ქ. თბილისის გლდანის რაიონი — ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონი	ქ. თბილისის გლდანის რაიონი, ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონი

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ:

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲙᲜᲔᲑᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘ-ᲙᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ხუთწლედის სამ წელიწადში გურჯაანის რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა **256.749** ტონა ყურძენი, რაც **17.266** ტონით აღემატება მეათე ხუთწლედის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

ბოლო სამ წელიწადში გურჯაანელებმა საგეგმოზე მეტი დამზადეს ხორცი, რძე, მატყლი, კვერცხი, მარცვლეული, ხილი, აბრეშუმის პარკი, ბოსტნეული.

ხუთწლედის განვლილ პერიოდში რაიონის სამრეწველო საწარმოებმა გამოუშვეს **690** მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც წინა სამი წლის შესაბამის მაჩვენებლზე **166** მილიონით მეტია. გამოშვებული პროდუქციის **80** პროცენტს უმაღლესი ხარისხის ნიშანი აქვს. აქ წლეულს მეორე კატეგორიის პროდუქციას აღარ უშვებენ.

ᲫᲚᲔᲚᲘᲐ იწამო, მაგრამ ფაქტია, კახეთის გულში, განთქმული ქართული ღვინოების დედად აღიარებულ გურჯაანში სახამორო და ნესვი ვენახებს გაკაფვით ემუქრება. ველისციხესა და კარდანახში, სადაც ალბათ ქართველმა კაცმა „ვაზო, შვილივით ნაზარდო“ პირველად იმღერა, მოსახლეობამ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებში ასობით ჰექტარზე უნებართვოდ ამოძირკვა ვაზი.

ეს აღმაშფოთებელი, საგანგაშო მოვლენა უკვე ახდენს უარყოფითს გავლენას მოსახლეობაში ყურძნის დამზადებაზე.

ბოლო ორი წლის მაჩვენებლების მიხედვით, რაიონში მთლიანად დამზადებული ყურძნის მოცულობამა საკარმიდამოს წილი განახევრდა.

ამას ემატება ისიც, რომ სოზოგადოებრივ მეურნეობებში არცთუ იშვიათად ვხვდებით მოუვლელ ვენახებს, რის გამოც დიდია სიმეჩხრე. მარტო ამ მიზეზით ყოველწლიურად სულ ცოტა 7 ათას ტონაზე მეტი ყურძენი აკლდება სახელმწიფოს.

არადა, გურჯაანის რაიონში მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის ყურძნის საშუალო წლიური დამზადების მოცულობამ წინა ხუთწლედის შესაბამის მაჩვენებელს 50 ათასი ტონით უნდა გადაამეტოს...

შეახსენა რა ეს ამოცანა საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის XXXVII კონფერენციის დელეგატებს, რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. შინჯიაშვილმა აღიარა, რომ სტიქიურ უბედურებასთან ერთად რაიონს დიდძალი ყურძენი დაკარგვინა მევენახეთა დაუდევრობამაც. ზვრებში ჭრაქის და ნაცრის გაჩენის გამო ზარალეს ჩუმლაყის, ბაკურციხის, კოლგის, შრომის, ჩალაუბნისა და სხვა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა. ხაზი გაესვა იმასაც, რომ პირადი დამზმარე მეურნეობების გაძღოლაში დაშვებული შეცდომების გამო მათი და საზოგადოებრივი წარმოების ინტერესები ჯერჯერობით ერთმანეთს სწორად ვერ უხამდება, რომ დადგა დრო საკარმიდამო მეურნეობის გაძღოლაში გაბედულად დამკვიდრდეს გეგმიანობა.

ამის თაობაზე კონფერენციაზე საქმის ცოდნით, პარტიული პრინციპულობით ილაპარაკა აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარემ ტ. დვალიშვილმა. — კერძო სექტორში მევენახეობის განვითარებისათვის, თქვა მან, აუცილებლად მიგვაჩნია საკარმიდამოს 70 პროცენტზე დაკანონდეს ვენახების გაშენება. ვინც არ გააშენებს, მკაცრად მოეკითხოს. ამასთან უნდა მოგვარდეს მცირე მექანიზაციის საქმე და კანონის ძალა მიეცეს პირადი დამზმარე მეურნეობიდან ყურძნის სახელმწიფოსათვის შიყიდვის გეგმებს. თითოეულ საზოგადოებრივ მეურნეობას უნდა ჰქონდეს მევენახეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომლის ყოველწლიური შესრულების მიხედვით უნდა ფასდებოდეს მეურნეობათა ხელმძღვანელების ორგანიზატორული მუშაობის შედეგები და წყდებოდეს საკითხი, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი დაკავებულ თანამდებობას. აგროსამრეწველო გაერთიანებაში შედგა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაადგენს ვენახების ჰექტარიტ ფართობებს, სიმეჩხრეს, . ასაკს როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სექტორში. ამის საფუძველზე შედგება სოფლის მეურნეობის რუკები, რითაც გადავიღდება შესრულების კონტროლი.

— გურჯაანის რაიონის მშრომელთა გარჯის მთავარი საზომი მევენახეობაში მიღწეული შედეგებია, — თქვა მელაანის კოლმეურნეობის ბრიგადირმა, კომუნისტმა ო. ირომაშვილმა, — დარგში შრომის ახალი ფორმების ძიება მოითხოვს მზარდ ყურადღებას და ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა პარტორგანიზაციას ეკუთვნის. ვენახისა და მოსავლის ბედ-იღბალი, ბრიგადირის სინდის-ნამუსსა და უნარზეა ძირითადად დამოკიდებული. ამ მოთხოვნას ვუყენებ ჩემს თავსაც და ვცდილობ შედეგებით გავუტოლდე ისეთ სახელოვან ბრიგადირებს, როგორიც არიან მიხეილ მარჩილაშვილი სოფელ შრომიდან, ამირან შოშიაშვილი ველისციხიდან, შოთა ჯავახიშვილი ჩვენივე კოლმეურნეობიდან. ამ მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება მათი მუშაობის გამოცდილებიდან ყოველივე საუკეთესოს ჩვენს მეურნეობაში ოპერატიულად და შემოქმედებითად დანერგვა. აქაც პარტორგანიზაციის დახმარება გვჭირდება, ოღონდ ჩვენ მარტო ის კი არ გვაინტერესებს, თუ როგორ გავსწლათ ვაზი, ან სასუქი როდის და როგორ შევიტანოთ ვენახში, არამედ უფრო მეტად ის, თუ როგორი მეთოდებით უძღვებიან ბრიგადებს. ერთი სიტყვით, მთავარია ადამიანებთან მუშაობა და არა მხოლოდ ელემენტარული აგროტექნიკური წესების მოსაწყენი განმარტება. ამას რაიონული გაზეთის და ადგილობრივი რადიოგადაცემების რედაქციების და ყველა იმათი მისამართით ვამბობ, ვისაც ინიციატივა და გამოცდილების პროპაგანდა ევალება.

გურჯაანში მართლაც ბევრი ღირსეული და გამოცდილი ბრიგადირია. ზოგი მათგანი პარტიულ კონფერენციის დელეგატადაც აურჩევიათ. შესვენებაზე კამათის მონაწილეს, ველისციხელ მევენახე-ბრიგადირს, ორდენებით მკერდდამშვენებულ ამირან შოშიაშვილს ვთხოვეთ თავისი აზრი გამოეთქვა კონფერენციაზე აღძრული ზოგიერთი საკითხის გამო.

— მაშ, მოსახლეობა ვაზს მასობრივად კაფავს? — ვეკითხებით ვიტერან კომუნისტ მევენახეს.

— კაფავენ, ზოგი ახალშენსაც არ იხდობს.

— ვინც კაფავს სხვაზე ჰკვიანია?

— ამას სჩადიან ნაკლები შრომით დიდი შემოსავლის მაძიებელნი, თორემ პატიოსანი კაცი ვაზს ამოსაძირკვავად როგორ გამიტეხს.

— რა გამოსავალია.

— უწინარესად, დაინტერესება. სწორია რაიკომის მდივნის ასეთი ფუნქციების განხორციელება, ოღონდ კოლექტიების ვენახსაც საკუთარივით უნდა მოვლა. ეს მაშინ მოხდება, როცა ბრიგადებს სამეურნეო ანგარიშზე გადავიყვანთ და ისინი ზვრების ბატონ-პატრონები გახდებიან, რა მთავარსაც მოიყვანს კაცი, გასამრჯელოც ისეთი ერგება.

სამეურნეო ანგარიში, კოლექტიური იჯარა, ნაყოფიერი ნიადაგია შრომის სტიმულირებისათვის, ადამიანის საუკეთესო თვისებების განვითარებისათვის, მაგრამ როგორც რაიკომის ანგარიშში იყო აღნიშნული, პარტიული ორგანიზაციები შრომის ორგანიზაციის ამ პროგრესულ ფორმებს ჯეროვნად ვერ იყენებენ მშრომელთა საწარმოო აქტიურობის განვითარებისათვის, გეგმა-ვალდებულებების უ ც ი ლ ობლივ შესრულებისათვის. ამას მოწმობს, ის, რომ სამრეწველო საწარმოებში ბრიგადული იჯარით მუშაობს ამ დარგში დასაქმებულთა მხოლოდ 5 პროცენტი.

დელეგატებმა გამოთქვეს სურვილი, რომ რაიკომმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გაძლიერონ პარტიული მექანიზმის სრულყოფის პროცესზე, შრომისა და დასვენების პირობებს არ ვაქცევენ ყურადღებას, სათანადო მუშაობას არ ვეწევიან უპარტიო ამხანაგებთან. ამას ისიც მოწმობს, რომ 500-კაციან კოლექტივში მხოლოდ 45 კომუნისტია.

კონფერენციაზე სამართლიანად ითქვა, რომ რაიონში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა პარტიაში მუშათა მირთვის განმტკიცებას, არადა, ხუთწლედის ცენტრალური ამოცანის — შრომის ნაყოფიერების გადიდების ამოცანის გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კომუნისტების აქტიურობაზე, მათს ავანგარდულ როლზე, პარტიის რიგების განმტკიცებაზე. ამ მხრივ რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა არ შეესაბამება მოსახლეობისა და შრომითი კოლექტივების ზრდას. რაიონის 69 მეცხოველეობის ფერმიდან 13-ში არც ერთი კომუნისტი არ მუშაობს, ხოლო 35 ფერმაში მხოლოდ ერთი ან ორი კომუნისტია. საანგარიშო პერიოდში სოფლქიმის რაიონული გაერთიანების, ბაკურციხის სავა

საკდესის განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული ომისათვის მზადების უგუნურ კურსს საბჭოთა კავშირი უპირისპირებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, დაძაბულობის შენელების, გამალებული შეიარაღების ალაგმვის კურსს— ასეთია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების დაწყებასთან დაკავშირებით ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაზე მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოსული გამოხმაურებები მთავარი აზრი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადება ეს არის ომის გამჩაღებლთა დროული გაფთხილება, საკადრისი პასუხი ვაშინგტონის დაჟინებულ ცდებზე დაარღვიოს სამხედრო წონასწორობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში. ეს ისტორიული დოკუმენტი გვინერგავს საბჭოთა კავშირის პოზიციის სიმტკიცის, სიბრძნისა და მშვიდობისმოყვარეობის კიდევ უფრო დიდ რწმენას, განაცხადა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ **პენჩო კუბადინსკიმ,** დანაშაულებრივი ნაბიჯი, რომელიც გადადგეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს იმპერიალისტურმა წრეებმა, რაცა ევროპაში დაიწყეს ახალი ბირთვული რაკეტების [განლაგება], კიდევ უფრო ამწვავებს საერთაშორისო ვითარებას. ბულგარეთის მშრომელი ხალხი მხურვალედ იწონებს და მხარს უჭერს ღონისძიებებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს, რათა საიმედოდ გადაუღობოს გზა ვაშინგტონელ ბირთვულ მანიაკებს.

სპკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადება ეს არის ომის გამჩაღებელთა დროული გაფთხილება, საკადრისი პასუხი ვაშინგტონის დაჟინებულ ცდებზე დაარღვიოს სამხედრო წონასწორობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში. ეს ისტორიული დოკუმენტი გვინერგავს საბჭოთა კავშირის პოზიციის სიმტკიცის, სიბრძნისა და მშვიდობისმოყვარეობის კიდევ უფრო დიდ რწმენას, განაცხადა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ **პენჩო კუბადინსკიმ,** დანაშაულებრივი ნაბიჯი, რომელიც გადადგეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს იმპერიალისტურმა წრეებმა, რაცა ევროპაში დაიწყეს ახალი ბირთვული რაკეტების [განლაგება], კიდევ უფრო ამწვავებს საერთაშორისო ვითარებას. ბულგარეთის მშრომელი ხალხი მხურვალედ იწონებს და მხარს უჭერს ღონისძიებებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს, რათა საიმედოდ გადაუღობოს გზა ვაშინგტონელ ბირთვულ მანიაკებს.

გონება უგუნურების წინააღმდეგ

გამალებული ბირთვული შეიარაღების შეკავების მტკიცე და თანმიმდევრულ კურსს, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს, მხარს უჭერს მსოფლიოს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი, რადგან იგი მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მებრძოლი ძალების საიმედო ბურჯია, წერს **უნგრული „ნეპსაბადშაგი“.** ი. ვ. ანდროპოვის განცხადება ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირი არავის მისცემს ნებას მოახდინოს მასზე ზეგავლენა, მაგრამ ამავე დროს მზად არის მიაღწიოს კომპრომისს, რომელიც ერთმანეთის უშიშროებისა და მშვიდობის გარანტიას შექმნის. „სწორედ ამიტომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობებმა, მათ შორის უნგრეთის მთავრობამ, განაცხადეს, რომ საესებით უჭერენ მხარს ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს. შეერთებული შტატების მოკავშირეების შორისაც კი ძლიერდება ეჭვი და უნდობლობა იმ ბიეი პოლიტიკისადმი, რომელსაც თავს ახვევს დასავლეთევროპელებს ნატოს უძლიერესი სახელმწიფო. მთელ მსოფლიოში იზრდება მასობრივი მოძრაობა გამალებული შეიარაღების გაძლიერების წინააღმდეგ.

„საბჭოთა კავშირს და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს არ შეუძლიათ უმოქმედოდ იყვნენ და თვალყური ადევნონ იმას, თუ როგორ ახვევენ მომაკვდინებელი იარაღის ახალ-ახალ არსენალებს აგრესიისათვის რეაქციული ძალები, რომლებმაც კრედოდ გაიხადეს გააფთრებული ანტიკომუნიზმი და ანტისაბჭოურობა, — ხაზგასმით აღნიშნავს **ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „პრავდა“.** — ისტორიამ უკვე მისცა ხალხებს მწარე მაგალითი, როცა ჰიტლერულმა ფაშიზმმა ძალ-ღონე მოიკრიფა აგრესიისათვის და დაიწყო ევროპის სისხლში ჩახრჩობა. ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი პოლიტიკა წარსულს გვაგონებს და სიფხიზლეს მოითხოვს. სსრ კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან აშკარა კონფრონტაციის კურსი ხომ ვაშინგტონმა შეიძლება ბირთვული ავანტიურთან დაამთავროს. ვაშინგტონის ამ საშიშ გეგმებს მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება გავცეთ: განვახორციელოთ ისეთი ღონისძიებანი, რომელთა შედეგად შევინარჩუნებთ ძალთა სამხედრო-სტრატეგიულ წონასწორობას. მხოლოდ მტკიცე მოქმედებას ჩვენი თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად შეუძლია შეაჩეროს იმპერიალისტნი“.

ი. ვ. ანდროპოვის განცხადების მტკიცე კილომ, მასში ჩამოთვლილმა კონკრეტულმა ღონისძიებებმა, რომლებიც ეხება არა მარტო ვაშინგტონის დასავლეთევროპელი მოკავშირეების, არამედ უშუალოდ ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებასაც, დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ამერიკაში. როგორც განაცხადა ამერიკის ექსპერტმა სამხედრო დარგში, სამხედრო პრობლემების საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა, გადამდგარმა კონტრ-ადმირალმა **ჯინ ლაროქმა:** „თუმცა საბჭოთა კავშირის ღონისძიებები მოულოდნელი არ იყო, მათ დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ სსრ კავშირის სიტყვა და საქმე ერთია. საბჭოთა ხელმძღვანელის განცხადებამ ერთხელ და სამუდამოდ მოუღო ბოლო მსჯელობას იმის შესახებ, რომ ახალი ამერიკული რაკეტების განლაგებასთან ერთად მოსკოვი თითქოს „უფრო დამთმობი გახდება“ ევნეკის მოლაპარაკებაზე“.

შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ სასწრაფოდ ყოველი ღონე იხმარა საბჭოთა ხელმძღვანელის განცხადების ეფექტის ნეიტრალიზაციისათვის“.

როგორც ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს ყოველკვირეული **„ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“,** რეიგანის ადმინისტრაცია „ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გარეგნულად შეანელოს კრიზისის ატმოსფერო“.

ამ მიზნით, კერძოდ, მასობრივი ინფორმაციის ამერიკული საშუალებების დიდი უმრავლესობა სრულიად უვლის გვერდს ნამდვილ მიზეზებს, რომლებსაც მოჰყვა ფენვის მოლაპარაკების ჩაშლა, ჩქმალავს ამერიკის შეერთებული შტატების ამსოლუტურად არაკონსტრუქციულ, ობსტრუქციონისტულ პოზიციას. ამავე დროს ადმინისტრაციის წარმომადგენლები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა თავს მოახვიონ ამერიკის საზოგადოებრიობას აზრი, თითქოს სსრ კავშირი „მალე ისევ მიუჯდება მოლაპარაკების მაგიდას“. „დამშვიდების“ ამ კამპანიაში ვაშინგტონს აშკარა დახმარებას უწევს დასავლეთ ევროპის, განსაკუთრებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრესაც. ბურჟუაზიული გაზეთები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყოს და გარკვეული დროის შემდეგ „ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში მოექცევა.

მზარდ შეშფოთებას იმ გზის გამო, რომელზეც ქვეყანას აყენებს თეთრი სახლის მილიტარისტული პოლიტიკა, ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების გაზეთები უბრალო ამერიკელების წერილების ნაკადი, რომელიც უკანასკნელ დროს მკვეთრად გაზარდა. ამ წერილების შენარჩევი გამოაქვეყნა გაზეთმა **„ვაშინგტონ პოსტმა“.**

„დიდი ხანია დადგა დრო დავარაზმოთ ამერიკისა და მსოფლიოს საზოგადოებრიობა ალტერნატიული პოლიტიკის განსახორციელებლად“, — ხაზგასმით აღნიშნავს თავის წერილში ქალაქ კოლეჯ-პარკის მცხოვრები ე. სენდსი.

„ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბოლოს და ბოლოს პოზიტიური. პასუხი უნდა გასცეს სსრ კავშირის მოწოდებას დამყარდეს ნორმალური ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან,— აღნიშნავს ვაშინგტონელი ეოლდო ჰაილენდი. — მარტო ასეთი გზით შეიძლება ავიცილოთ თავიდან ბირთვული კატასტროფა“.

ანალოგიური წერილები მოდის დასავლეთ ევროპის გაზეთების რედაქციებშიც. მათი ავტორები მხარს უჭერენ სსრ კავშირის პოზიციას და გმობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მილიტარისტულ კურსს. „ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სსრ კავშირს არ აპირებს ვინმეს დაესხას თავს, რაც არაერთხელ საჯაროდ განუცხადებია“, წერს **„ლუმანიტეში“** ეოს ლე კოზი —ფინანსტერის დეპარტამენტის მცხოვრები. იგი მოუწოდებს მხარი დაუჭირონ საბჭოთა კავშირის ბრძოლას სრული განიარაღებისათვის, „რომელიც ყველა ჩვენგანს თავიდან ააცილებს მომაკვდინებელ საფრთხეს, კაცობრიობას რომ ემუქრება“.

● ავღანეთი

მეგობრობის მიტინგი

ქაბული. ქაბულის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობის მასობრივი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის 5 წლისთავს. მიტინგზე გამოსულმა ავღანეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებას, რომელიც ორი მეზობელი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ნიშანსვეტი გახდა. მიტინგში მონაწილეობდა ქაბულში დღესასწაულზე ჩამოსული საბჭოთა დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის, პარტიის თამბოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ა. ა. ხომიაკოვის მეთაურობით.

● აშშ-იაპონია

დეფიციტი იზრდება

ტოკიო. თითქმის **2,2 მილიარდი დოლარი შეადგინა ოქტომბერში ამერიკის შეერთებული შტატების დეფიციტმა იაპონიასთან ვაჭრობაში.** ეს თითქმის ორჯერ აღემატება გასული წლის ამავე თვის მაჩვენებელს. ამერიკის შეერთებული შტატების პასიური სალდოს ზრდა, რომელიც, როგორც მიაჩნიათ, მიმდინარე წლის დამლევისათვის 20 მილიარდ დოლარს მიაღწევს, ორ ქვეყანას შორის მწვავე სავაჭრო-ეკონომიკური წინააღმდეგობის მთავარი მიზეზია.

კომუნისტური პრესისათვის

ვენა. ავსტრიაში წარმატებით მიმდინარეობს კომუნისტური პრესის ფონდისათვის სახსრების შეგროვების კამპანია. წლის დამდეგიდან უკვე შეგროვდა დაახლოებით 1,5 მილიონი შილინგი.

აღნიშნული კამპანია ეძღვნება ავსტრიის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას, რომელიც მომავალი წლის იანვარში უნდა გაიმართოს.

ალვზარდოთ მოქალაქე

უმაღლესი სკოლის საზრუნავი

დღეს, თანამედროვე პირობებში, ახლებურად დგება ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის, მასთან იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები, რასაც, უპირატესად, განაპირობებს მისი ზოგადი გათალების მნიშვნელოვნად გაზრდილი დონე. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XIV პლენუმმა ჭეშმარიტად დიდი სამოქმედო პროგრამა დაგვისახა ამ მხრივ ჩვენც, უმაღლესი სკოლის მასწავლებლებს. უეჭველად საჭიროა, ბევრი პრობლემა და საკითხი ახლებურად და ღრმად გავიხიაროთ, თუ გვნდა თავი დავაღწიოთ მუშაობაში შაბლონსა და ტრაფარეტს, რომელიც ყველაზე უფრო უშლის ხელს ჩვენს ნრფელ კონტაქტებს ახალგაზრდებთან, კერძოდ, სტუდენტებასთან.

უნდა გვახსოვდეს, რომ დღევანდელ სტუდენტობას ინფორმაციის უდიდესი მარაგი აქვს და ეს ინფორმაცია კოლოსალურ ენერგიად გადაიქცა. მიღებული ინფორმაცია ბადებს უამრავ კითხვას, სტუდენტს ამა თუ იმ საკითხზე უყალიბდება თავისი კონკრეტული აზრი. ამასთან, ახალგაზრდას მოთხოვნილებად ექცა მიღებული ინფორმაციის გაცემა. ეს, ასე ვთქვათ, დაგროვილი ენერგიის ხარჯვის ძირითადი წყაროა. სტუდენტი ითხოვს სიტყვას, მას სჭირდება მსმენელი და უმაღლესი სკოლა იმ ფაქტის წინაშეა, რომ ევალება შეძლოს ამ პროცესების წარმართვაც. გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ, სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით უმაღლესი სკოლების მუშაობაში უმეტესად შეიმჩნევა ფორმალიზმი, ყურადღება მახვილდება ცალკეულ ფაქტებზე, არ იგრძნობა სისტემატური მუშაობის შედეგი. არადა, ცხადია, ჩვენთვის სულერთი როდია, როგორი იდეური მრწამსის და მომზადების სპეციალისტი მივა ხვალ უმაღლესი სასწავლებლიდან წარმოებაში. იბადება კითხვა: პროფესიულ ცოდნასთან ერთად მივაცით კი უმაღლეს სკოლებში სტუდენტს იდეოლოგიური მომზადების ის მყარი საფუძველი, რომელიც უთუოდ დასჭირდება პრაქტიკაში? სპეციალისტი არა მარტო რიგიანად უნდა ფლობდეს თავის პროფესიას, არამედ უნდა იყოს, საზოგადოდ, განათლებული, სრულყოფილი ინტელიგენტი, რომელსაც ხშირად მიმართავენ სხვადასხვა ხასიათის შეკითხვებით, ჩააბარებენ პოლიტიკური განათლების სისტემის რომელიმე რგოლს. გაართმევს კი იგი თავს ესოდენ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ დავალებას?

სტუდენტი ინსტიტუტშივე უნდა მიეჩვიოს სადღეისო ცხოვრებისეულ საკითხებზე ჯანსაღი პოლემიკის წარმართვის ხელოვნებას, თავიდანვე უნდა გამომუშაოს მწვავე საკითხების უშეცდომოდ შეფასებისა და გაშუქების უნარი. მას უთუოდ უნდა შეეძლოს კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ნათლად და დამჯერებლად გადმოსცეს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის არსი. თუ სტუდენტი უმაღლეს სკოლაში არ. შეითვისებს ყოველივე ამას, ძნელი დასაჯერებელია, რომ შემდეგ შესძლოს გაბდეს პარტიის პოლიტიკის აქტიური გამტარებელი და პროპაგანდისტი. უეჭველად მეტი ყურადღება სჭირდება უმაღლესი სკოლების იდეოლოგიურ სამსახურს. აქ კი ჯერ კიდევ პრობლემად რჩება თანამშრომლებით მისი დაკომპლექტების საკითხი. არის სადირექტიო მოთხოვნა იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მასწავლებლები უნდა იყვნენ საუნივერსიტეტო საბაზო განათლებით, უმჯობესია წარჩინებით ან, ყოველ შემთხვევაში, კარგი ნიშნებით უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულნი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების დაკომპლექტებისას გამორიცხული უნდა იყოს კომპრომისი, მათი ყოველწლიური ატესტაცია უნდა წარმართოს მეტად პრინციპულად და ობიექტურად. ვფიქრობთ, თუ ეს საქმე ცენტრალიზებული იქნება და უშუალოდ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო უმეთაურებს, უკეთეს შედეგს მივიღებთ. საკითხს ამგვარად ვაყენებთ არა პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, არამედ იმიტომ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ატესტაციის თანამედროვე სისტემა არ გამორიცხავს სუბიექტივიზმს და არაობიექტურობას. თვით კვალიფიკაციის ამაღლების თანამედროვე სისტემაც საჭიროებს უფრო დახვეწას და დაკონკრეტებას. უნდა გადავხედოთ მასწავლებელთა პროფესიული მომზადების შეფასების კრიტერიუმებსაც.

იდეოლოგიური სამსახურის ძირითადი მოვალეობაა შეუნელებელი ბრძოლა ჩვენთვის მიუღებელი, მავნე უცხოური პროპაგანდის წინააღმდეგ, რომლის უარყოფითი გავლენა ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილში შეიმჩნევა.

დასავლეთის სახელმწიფოების ტექნიკური განვითარების გარეგნულმა, მოჩვენებითმა ეფექტმა რამდენადმე შენიღბა კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგობები. ტექნიკურმა პროგრამებმა, რომელიც ჩვენი ეპოქის მამოძრავებელი ძალა გახდა, ახლებურად დააყენა საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების პრობლემა. დღევანდელი ეპოქაც, ბუნებრივია, შრომასა და კაპიტალს შორის არსებული წინააღმდეგობანი რჩება როგორც ძირითადი, მაგრამ შეიმჩნევა სულ უფრო და უფრო მზარდი წინააღმდეგობანი დაქირავებულ გონებრივ შრომასა (დაქირავებულ ინტელექტსა) და კაპიტალს შორის. ამ წინააღმდეგობრივი პროცესების ახსნას საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან მოველოდ. საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლები ასევე უფრო აქტიურად უნდა ეხმაურებოდნენ სხვა პრობლემებსაც. ახლა ძნელად რომ ივარგოს კაპიტალისტური წყობილებისათვის დამახასიათებელი მწვავე სოციალური თუ ეკონომიკური წინააღმდეგობების ისეთივე ფაქტებით ახსნამ, როგორც ამას ვაკეთებდით 30-40 წლის წინათ. საჭიროა კრიტიკულად გადავხედოთ მეცნიერულ პროდუქციას, რომელსაც საზოგადოებრივ მეცნიერებში მომუშავე ჭკვეკვრები გვაწვდიან. განა სწორია, რომ ზოგიერთი მათგანი რატომღაც უფრთხის მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების შესწავლას, თუმცაღა საამისო ძალა და უნარი შესწევთ.

უმაღლეს სკოლებში სოციოლოგიურ გამოკვლევებსაც სათავეში იდეოლოგიური სამსახური უნდა ჩაუდგეს. საჭიროა ზედმიწევნით ვიცოდეთ, რას ფიქრობს ახალგაზრდობა ამა თუ იმ საკითხზე, როგორია მისი აზრთა მიმდინარეობა, როგორ უყალიბდება მსოფლმხედველობა და სხვა. არ უნდა შეგვაშფოთოს და შეგვაკრთოს დასმულ კითხვებზე არასტანდარტულმა, ზოგჯერ მწვავე პასუხებმაც. პირიქით, საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ისინი, ვეძებოთ ასეთი პასუხების გამომწვევი მიზეზები და ამ მიმართულებით მუშაობას მივაცეთ უფრო გააზრებული, სისტემატური ხასიათი. მხოლოდ ამ პირობით შეძლებთ ღრმად ჩავწვდეთ ახალგაზრდობის სულიერ სამყაროს და სწორი გეზი მივცეთ მისი სწავლისა და აღზრდის რთულ პროცესს. უმაღლეს სკოლებში, ყველგან, მკაცრი საზოგადოებრივი აზრი უნდა შეიქმნას ჩვენი ცხოვრებისათვის მიუღებელი თუნდაც ცალკეული გამოვლინებების მიმართ, შეუმჩნეველი და შეუფასებელი არ უნდა დაგვრჩეს თითო-ოროლა ისეთი ფაქტიც კი, რომლებიც შემდეგ შეიძლება გამრავლდეს და საშიშ ტენდენციადაც კი მოგვევლინოს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული უმაღლესი სკოლების მუშაკთა თათბირზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ახალგაზრდები, რომლებიც ვერ ერკვევიან თანამედროვეობის რთულ საკითხებში. უფროსი თაობის წარმომადგენლები ხშირად ცუდად ეხმარებიან მათ, თავს არიდებენ ძნელ საკითხებს, ზოგჯერ კი, უბრალოდ, მზად არ არიან პასუხის გასაცემად. სრული ეშმაობიტებაა, დადგა დრო, როდესაც უმაღლესმა სკოლებმა უნდა იტვირთონ მთელი პასუხისმგებლობა სტუდენტის მოქალაქეობრივი სახისა და ცხოვრებისეული პოზიციის გამო. ჩვენ ვისწავლეთ მივცეთ ახალგაზრდობას ცოდნა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ შოვძებნეთ მყარი ბერკეტები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, ეს ცოდნა, ჩვენი მსოფლმხედველობა მათი ყოველდღიური საქმიანობის ნორმად გადაიქცეს. საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, აუდიტორიაში დამყარდეს სტუდენტებთან ისეთი კონტაქტი, რომელიც მათ განუვითარებს აზროვნებას, ასწავლის ფიქრს და მართებულ განსჯას. ეს საშუალებას მოგვცემს, დავამკვიდროთ და განვამტკიცოთ სტუდენტის პროფესიული და მოქალაქეობრივი ფორმირების კრიტერიუმები. სტუდენტმა უნდა შეძლოს თითოეული დებულების, ფრაზის, ციფრის მიღმა დაინახოს ლოგიკური კავშირი თანამედროვეობასა და შემდგომ მოვლენებს შორის, მას უნდა შეეძლოს შეუხამოს და ორგანულად დაუკავშიროს ერთმანეთს პროფესიული ცოდნა და რწმენა.

ჩვენი კონტაქტი სტუდენტობასთან უნდა იყოს უაღრესად ტაქტიანი, ამასთან ზედმეტი ძიძაობთაც არ უნდა ვაღიზიანებდეთ მას, არა და არ უნდა დავუკნინოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა. უნდა გვახსოვდეს, რომ სტუდენტი როგორც პიროვნება, სრულფასოვანი მოქალაქე, მოვალეა გრძნობდეს, რომ იგი მოვლენების პასიური მჭვრეტელი კი არ არის, არამედ ამ მოვლენების აქტიური მონაწილეა და მათი განვითარების საბოლოო შედეგისათვის თავადაც აგებს პასუხს.

იდეოლოგიური საქმიანობის ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა შეუნელებელი ბრძოლა ცრუპატრიოტიზმის წინააღმდეგ. ჩვენს საზოგადოებას სჭირდება ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი ახალგაზრდობა, ღრმად განათლებული, ინტერნაციონალური იდეების მატარებელი და პროპაგანდისტი. აუცილებელია თანამედროვე ინტელიგენტი ზედმიწევნით ფლობდეს მშობლიურ ენას, იცნობდეს მშობელი ერის კულტურას, ისტორიას. ყოველივე ეს მას ხელს კი არ შეუშლის, ფლობდეს სხვა ენებსაც, იცნობდეს და პატივს სცემდეს სხვა ხალხების კულტურას, პირიქით, გაუღრმავებს და განუმტკიცებს ამგვარ მისწრაფებას.

დღეს მწვავედ დგას იდეოლოგიური მუშაობის, ახალგაზრდობის იდეური მრწამსის საკითხი. უმაღლესი სკოლები მოწოდებული არიან ღირსეული წვლილი შეიტანონ პრობლემის პრაქტიკულ გადაწყვეტაში. ეს კიდევ უფრო გაზრდის უმაღლესი სკოლების ავტორიტეტსა და ღირსებას.

ნ. ქარქაშაძე,
საქართველოს სუხტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ეროვნული საკითხი

მაგისტრალებზეა ახალი ელმავალი

გუდაკაუბნი. **დედაქალაქის მანქანათაშენებელ კომბინატ „განც-მავაგში“ ათვისებულია ელმავლების სერიული გამოშვება, რაც ხელს შეუწყობს ტვირთნაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სიჩქარისა და კომფორტულობის ამაღლებას, უფრო ეკონომიურს გახდის მათ.** ახალი ლოკომოტივის ძრავა თითქმის მესამედით აღემატება თავისი წინამორბედის სიმძლავრეს და გაცილებით უფრო საიმედოა ექსპლოატაციაში. ახლა უნგრელი რკინიგზელები შეუდგნენ ძველი ტიპის ლოკომოტივების გეგმაზომიერ შეცვლას.

ამავამად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ელექტრიფიცირებულია რესპუბლიკის რკინიგზის მაგისტრალების მეუთედზე მეტი — ათასსუთას კილომეტრზე მეტი ლიანდაგები. ელმავლების წარმოების განვითარება და სრულყოფა ევროპაში მიღებული რკინიგზების ელექტრიფიკაციის პერსპექტიული პროგრამის ნაწილია.

ახალი ოლიმპიური ჩემპიონები

ბუდაპეშტი. **ბერლინელ ბოქსიორ ანატოლი ფეოფანოვმა ბუდაპეშტში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ოლიმპიურ ტურნირში ბანტამწონა კატეგორიაში ოქროს medali მოიპოვა.** ფინალურ ორთაბრძოლაში ფეოფანოვმა ბულგარეთის ბოქსიორ ანატოლი ანატოლიევი ერთხმად დაამარცხა.

ბუდაპეშტი. **ბულგარეთის ბოქსიორ ანატოლი ანატოლიევმა ბუდაპეშტში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ოლიმპიურ ტურნირში ბანტამწონა კატეგორიაში ოქროს medali მოიპოვა.** ფინალურ ორთაბრძოლაში ანატოლიევმა ბერლინელ ბოქსიორ ანატოლი ფეოფანოვი ერთხმად დაამარცხა.

ოკეანეთა ეკონომიკა

ოკეანოლოგთა შეხვედრა

სოციალისტური ქვეყნების თვალსაჩინო მეცნიერი მედიცოსები შეიკრიბნენ თბილისში, სადაც 6 დეკემბერს გაიხსნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფერი ქვეყნების ქალთა ავთვისებიანი წარმონაქმნების ეპიდემიოლოგიის პრობლემების ექსპერტთა თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, პოლონეთის, სსრ კავშირის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის ონკოლოგთა დელეგაციები.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. მენაღარიშვილმა.

თათბირის მონაწილეებს მიესალმა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, პროფესორი ლ. შარაშიძე.

გინეკოლოგიური კიბოს ეპიდემიოლოგიის, მისი ქირურგიული და კომბინირებული მკურნალობის დარგში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფერი ქვეყნების თანამშრომლობის ზოგიერთ შედეგსა და პერსპექტივაზე მოხსენება გააკეთა პრობლემის კურატორმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, საქართველოს ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის გინეკოლოგიური ცენტრის გინეკოლოგიის ინსტიტუტის ფ. სივიცკი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი კ. ოლტიანუ, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი ლ. ცინეგე, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი მ. ძური.

სხდომაში მონაწილეობენ აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ა. ი. გრიბკოვი.

ეროვნული საკითხი

ინფორმაციის გზით

ბულგარეთი:

სოფია. **სამი საათი დასჭირდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალისტური შრომის გმირის ვალკო გოჩევის მემონტაჟეთა ბრიგადას დიმიტროვის ქიმიურ კომბინატში ამიაკის სინთეზისათვის განკუთვნილი 500-ტონიანი სვეტის დასადგმელად.** „ურალქიმმანქანის“ მანქანათმშენებლების მიერ შექმნილი ეს უნიკალური ნაგებობა იმუშავებს სსრ კავშირიდან მიღებული ბუნებრივი გაზით.

სვეტის დადგმა ბულგარეთის ქიმიის პირმშოს გენერალური რეკონსტრუქციის ახალი დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები ეტაპია. უახლოეს დროს აქ დაამონტაჟებენ სხვა საბჭოთა მოწყობილობასაც. მის გამართვაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა სპეციალისტები. მალე დაგეგმილია აზოტისა და გოგირდის მჟავის, ამიაკის გვარჯილის ახალი საამქროებისა და სხვა წარმოებების ამოქმედება.

დიმიტროვგრადის ქიმკომბინატს სამართლიანად უწოდებენ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პირმშოს. იგი ოცდაათზე მეტი წლის წინათ აშენდა სსრ კავშირის ტექნიკური დახმარებით. გენერალური რეკონსტრუქციის პროექტი შეიმუშავეს მოსკოვის სამეცნიერო ორგანიზაციებმა. საბჭოთა სამრეწველო საწარმოები აქ გამოგზავნან მოწყობილობის ძირითად ნაწილსაც.

უნგრეთი:

გუდაკაუბნი. **დედაქალაქის მანქანათაშენებელ კომბინატ „განც-მავაგში“ ათვისებულია ელმავლების სერიული გამოშვება, რაც ხელს შეუწყობს ტვირთნაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სიჩქარისა და კომფორტულობის ამაღლებას, უფრო ეკონომიურს გახდის მათ.** ახალი ლოკომოტივის ძრავა თითქმის მესამედით აღემატება თავისი წინამორბედის სიმძლავრეს და გაცილებით უფრო საიმედოა ექსპლოატაციაში. ახლა უნგრელი რკინიგზელები შეუდგნენ ძველი ტიპის ლოკომოტივების გეგმაზომიერ შეცვლას.

ამავამად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ელექტრიფიცირებულია რესპუბლიკის რკინიგზის მაგისტრალების მეუთედზე მეტი — ათასსუთას კილომეტრზე მეტი ლიანდაგები. ელმავლების წარმოების განვითარება და სრულყოფა ევროპაში მიღებული რკინიგზების ელექტრიფიკაციის პერსპექტიული პროგრამის ნაწილია.

ვიეტნამი:

ხოშიმინი. **„ქოქოსის პალმების მხარე“ — ასეთი სახელწოდებით არის ცნობილი ვიეტნამში ბენჩეს სამხრეთი პროვინცია. განუმეორებელი და თავისთავადია ამ პროვინციის პეიზაჟები — თეთრად აქარცილი ზურმუხტისფერი ტალღები, ქოქოსის ტანმაღალი პალმებით მორგული ჭრელისფერი ქვიშის პლაჟები. მაგრამ პალმები ტურისტულ პროსპექტებში პეიზაჟის მარტო სამკაული როდია. ეს არის ბენჩეს მთავარი სიმდიდრეც.**

აქ ათასობით ჰექტარი უკავია ქოქოსის პლანტაციებს. ამერიკის აგრესიის წლებში მათ უდიდესი ზარალი მიადგა, მოისპო პალმის მთელი მასივები. მაგრამ ახლა დაიწყო ამ ძვირფასი კულტურის აღდგენა, რომელსაც აქ სამართლიანად უწოდებენ „სიცოცხლის ხეს“. და ეს მართალიცაა — ქოქოსის რძე ჩინებულად კლავს წყურვილს ტროპიკულ სიცხეში. პალმის ფოთლები გამოიყენება საშენ მასალად გლეხების საზაფხულო სახლებისათვის, კომპრი კი საკონდიტრო, ფარმაცევტული და კვების მრეწველობის უძვირფასესი ნედლეულია.

ახლა რესპუბლიკის ს

დასტაქარი

ოვი რომ დაიწყო, იგი ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდის სკოლის მეცხრე კლასში სწავლობდა. აბა, სადღა იყო პროფესიის არჩევისა და ოცნებების დრო. ორმა წელმაც სწრაფად განვლო, ყმაწვილმა წარჩინებით დაამთავრა სკოლა და მაშინვე კომისარიატს მიაკითხა, მაგრამ ექ უარი უთხრეს, რა დროს შენი ომიაო! შრომისა და ცოდნას მოწყურებულმა ალექსანდრე გორგაძემ — საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში ჩაბარა გამოცდები. ზამთრის სესიებს რომ მორჩა, ისევ სამხედრო კომისარიატს მიაკითხა, ამჯერად უარი არ უთქვამთ და ინდუსტრიული ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი თბილისის საარტილერიო სასწავლებელში ჩარიცხეს, რომლის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა საწარმოებში მსახურობდა.

დემობილიზაციის შემდეგ ა. გორგაძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა, რომელიც 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა და ახალქალაქში გაანაწილეს. პირველი ოპერაციაც ახალგაზრდა დასტაქარმა სწორედ აქ გააკეთა.

თუ როგორი სიყვარული დაიმსახურა მან ახალქალაქში, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ 25 წლის წინათ მოსკოვში გადასულ ექიმს დღესაც არ ივიწყებენ.

1958 წელს ა. გორგაძე დედაქალაქის ექიმთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის კლინიკურ ორდინატურაში გაგზავნეს, სადაც შუაღამამ ახალგაზრდამ თავიდანვე მიიქცია პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება, შესთავაზეს მოსკოვში დარჩენილიყო, სადაც მუშაობის ფართო ასპარეზი იშლებოდა. მეგობრების დაჟინებულმა რჩევამ — ხელმძღვანელებისაგან ასეთი წინადადების მიღება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ბედს ხუთგს ნუ შეაქცევო — გაჯერა, და ა. გორგაძე ახალი ენერგიით შეუდგა შრომას. ახლა მას უკვე ანდობდნენ რთულ ოპერაციებს. სათავეში ედგა განყოფილებას, შემდეგ გახდა მოსკოვის სტომატოლოგიური ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე.

ა. გორგაძის სადისერტაციო შრომები პირველად სარძევე ჯირკვლის დაავადებათა დიაგნოსტიკასა და მკურნალობას ეხებოდა, შემდეგ კი იგი საკმლის მომწელებელი ორგანოების ქირურგიის პრობლემებზე მუშაობდა. მისივე ხელმძღვანელობით ოცამდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია მომზადდა. თუ ადრე ნაღვლის ბუშტის ქვების ამოღების დროს ოპერაცია ხშირად სიკვდილით მთავრდებოდა, ახლა პროფესორ ა. გორგაძისეული მეთოდი — „უსისხლო ოპერაცია“ ამას გამორიცხავდა.

ახლა ნ. ა. სემაშკოს სახელობის მოსკოვის სამედიცინო სტომატოლოგიის ინსტიტუტის საერთო ქირურგიის კათედრაზე, რომელსაც ა. გორგაძე ხელმძღვანელობს, ინტენსიურად მუშაობენ ქირურგიის სხვადასხვა პრობლემაზე. უკანასკნელ წლებში მიღებულია ლაზერული დასხივების გავლენის საინტერესო შედეგები. კათედრის თანამშრომლები ამ მიმართულებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. მაგნეტურ-ლაზერული თერაპია გამოიყენება ტროპიკული წყლულისა და ხანგრძლივად მოუშუშებელი ჭრილობების სამკურნალოდ. მკურნალობა მიმდინარეობს როგორც სტაციონარულ, ასევე ამბულატორიულ პირობებში.

ცნობილი დასტაქარი, რომ იტყვიან, ნადირობის ტრფიალია. მაგრამ პროფესიულ მოვალეობას იგი ყველაფერზე მაღლა აყენებს. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა ნადირობიდან დაბრუნებულს სველი ტანსაცმლის გამოცვლაც ვერ მოუსწრია და ისე გაყოლია შორი მანძილიდან ჩამოსულ მთხოვნელს ადამიანის გადასარჩენად.

ამ ორიოდე წლის წინათ ერთ-ერთ მეურნეობაში სანადიროდ ჩავიდა, მეგობრებთან ერთად ივახშმა თუ არა, კარზე ვიღაცამ დააკაკუნა, ხანშიშესულ კაცს ნაცნობი შემოუძღვა და პროფესორს თავისი გაჭირვება გაუგია-ნა. მახლობელ სოფელში სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროებოდა მის შვილს, ადგილობრივი ქირურგი კი მოსკოვში აღმოჩნდა

ა. გორგაძე მთელი ღამე ნაპერაციევ ავადმყოფს არ მოსცილებია.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას უარით გაესტუმრებინოს მოსული. ყოველთვის მზად არის გასინჯოს ავადმყოფი, მისცეს რჩევა-დარიგება. პირობების შესაფერი იოლი ოპერაციებიც გაკეთოს, თავისთან კლინიკაში გამოიძახოს და, ასე განსაჯეთ, თუ ისეთი რამით არის დაავადებული ავადმყოფი, რომელიც მის სფეროში არ შედის, მაინც შესთავაზებს — **ჩამოიყვანეთ მოსკოვში,** ვთხოვ მაკან და მაკან პროფესორს და ის თავის კლინიკაში დაწვენს ავადმყოფსო.

როცა ვინმე გაოცებას გამოთქვამს ხოლმე ა. გორგაძის ამ თვისებების გამო, იგი სევდანარევი ამბობს — მე ძალზე გამიმართლა, რომ ჩემი მასწავლებლები იყვნენ აწ გარდაცვლილი ცნობილი რუსი მეცნიერები ბ. კ. ოსიპოვი და ბ. ვ. ოგნევი, ჩემი, როგორც ქირურგის ჩამოყალიბება ხდებოდა ისეთ საქვეყნოდ ცნობილ დასტაქრებთან, როგორებიც არიან რ. ტ. პანჩენკო, ი. ბ. როზანოვი, ვ. ლ. მანევიჩი. დიდი მადლობელი ვარ ჩვენი ინსტიტუტის ყოფილი რექტორის კ. მ. ლაკინის და ინსტიტუტის მთელი კოლექტივისა.

— პატივცემულო ალექსანდრე, ალბათ ბევრ დროს კარგავთ სხვადასხვა თხოვნის მოგვარებაზე, რომლითაც ჩამოსულები გაწუხებენ, — ვეკითხებით მას.

— რომ გითხრათ, არა-მეთქი, მართალი არ ვიქნები.

ერთხელ ჟურნალ „ცისკარში“ წავიკითხე შესანიშნავი ქართველი მწერლის ოთარ ჭილაძის უსათაურო ლექსი, რომელმაც ერთიანად შეძრა და ამიტომ, ალბათ, სამუდამოდ დამამახსოვრდა ბოლო ორი სტროფი: „...შენ დაიფარე, ღმერთო ძლიერო, საკუთარ ფესვებს მომწყდარი კაცი“.

აბა, რისი მოხელე ხარ, ადამიანისათვის თუ არ შეიწუხე თავი, მით უფრო, თუკი იგი ჩამოსულია, თანამემამულეა. სწორედაც უნდა შევწუხდე, რადგან ამ შეწუხებაში ვხედავ სიამოვნებას.

რევაზ ჭიჭინაძე.

ქ. მოსკოვი.

ფიგნის თარო

მემუარული ლიტერატურა ადრეც დიდი ინტერესით იკითხებოდა და, ვგონებ, ახლაც არანაკლებ ეტანება მას მკითხველი. მაგრამ ეს კია, ამ ჟანრის წიგნები დღეს გაცილებით ნაკლებ იწერება, ვიდრე უწინ. ამას თავისი ახსნაც აქვს. თუნდაც ის, რომ პერიოდული პრესაცა და უამრავი ფართო თუ ვიწრო პროფილის საცნობარო ან სხვა ხასიათის წიგნები მეტ-ნაკლებად სრულ ინფორმაციას აწვდიან მკითხველებს საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, კერძოდ, რომელიმე დარგის მდგომარეობაზე, თუ გნებავთ, გამოჩენილ პიროვნებებზე. ამდენად, მემუარებმა თითქოს დაკარგეს ერთ-ერთი თავგარი დანიშნულება — ინფორმაციულობა. სხვა სახის მაზეზთაგან მოუცელლობაა ყველაზე დიდი მტერი მემუარისტიკისა.

დავით გურამიშვილი გულით ნაღვლობდა იმას, რომ ბევრი რამ დარჩა უთქმელი, „ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამცა არა მეცადა“-ო. ორი საუკუნის წინანდელი უკრაინული სოფლის სიმყუდროვეში თუ ამას ემდუროდა კაცი, ჩვენი, ანუ დღევანდელი ქალაქური ყოფის ორომტრიალში ჩართულ-ჩათრეულებს საშველი საერთოდ აღარ ყოფილა.

მაგრამ, სულ უსაშველოდაც არ ჩანს საქმე. მართალია ეშვიათად, მაგრამ დროდადრო მაინც გამოჩნდება ხოლმე მოგონებების წიგნი და კვლავ გაგვიცოცხლდება იმედი იმისა, რომ მემუარულ ჟანრს გადაშენება არ უწერია. მართლაც, ვერაფერი შეცვლის უშუალო შთაბეჭდილებების სიცხოველეს და დამარწმუნებლობას („ვინც დაიჯერეთ, ეს ჩემის თვალით მინახავს, ვინც არა და თქვენ იცით“, — სულხან-საბა ორბელიანი), მოგონებათა ინტიმურ სითბოს, წვრილმანებისა და დეტალების წყალობით სისავსის შეგრძნებას, მთხრობელის სუბიექტივიზმის მაინტრიგებელ ხასიათს.

ალექსანდრე ბარამიძის ამგვარი დანიშნულების წიგნი „**ახლო წარსულიდან**“, გარდა სხვა სიკეთისა, ბეჯითად გვარწმუნებს, რომ, ჯერ ერთი, მემუარულ ლიტერატურას ვერაფერი შეცვლის, მის სასიამოვნო ტკბილს სხვა ვერ მოერევა და, მეორეც კიდევ, მოუცლელობა, დროის უქონლობა თურმე დაუძველი ზღუდე სულაც არ ყოფილა.

ჩვენს ლიტერატურულ და სამეცნიერო წრეში ფაქიზად მეგულება აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეზე უფრო მოუცლელი კაცი. ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორობა, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარეობა, სამეცნიერო ჟურნალ „მაცნეს“ მთავარი რედაქტორობა, უნივერსიტეტის ძველი ქართული მწერლობის კათედრის პროფესორობა, აკადემიის სისტემაში თუ „ცოდნის“ ხაზით დიდად პასუხსაგები თანამდებობები, სამეცნიერო საბჭოების თავმჯდომარეობა, სარედაქციო კოლეგიებსა თუ საბჭოებში მონაწილეობა, საკავშირო თუ საერთაშორისო ქართველოლოგიური ფრონტის გაწვდომა, მრავალრიცხოვანი მოწაფეების ხელმძღვანელობა, ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა — ყოველივე ამის და კიდევ სხვა უამრავი საქმის ერთდროულად კეთება თითქოს შეუძლებელია ერთი კაცისათვის. ახლა ამის და ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას არ იყოს მოკლებული. ამგვარ წინასწარგანზრახვას ავტორი არც გვიმალავს და, მართლაც, წიგნის პირველი ფურცლებიდან ეტყობა, რომ ავტორს ეს ფიქრი ადრეულ ასაკში, ალბათ, ჯერ კიდევ ბავშვობაში ჰქონია. ეს ფიქრი ალბათ ბავშვობიდან ამოიზარდა ავტორის ოჯახის ერთ-ერთ ტრადიციად ქცეული ჩვეულებიდან, ოჯახის ყოველ ახალ წევრს, ბავშვს, ბებერ ბაბუას, ბებერ ბებიას, ბიძაშვილ-ბიძიაშვილ-ბიძაკაცს, ბიძაქალს, ბიძაშვილ-ბიძაკაცის ბიძაშვილ-ბიძაკაცს, ბიძაშვილ-ბიძაკაცის ბიძაშვილ-ბიძაქალს, ბიძაშვილ-ბიძაკაცის ბიძაშვილ-ბიძაკაცის ბიძაშვილ-ბიძაქალს, ბიძაშვილ-ბიძაკაცის